

სამაგისტრო პროექტი: სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიის
ცვლილების გამომწვევი მიზეზები

თამარ ჭყონიძე

თამარ ბეგაშვილი

ქრისტინა მჭედლიშვილი

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: თენზის ვერულავა, სრული პროფესორი, მედიცინის
აკადემიური დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ჭყონიძე

თამარ ბეგაშვილი

ქრისტინა მჭედლიშვილი

26.06.2019

აბსტრაქტი

შესავალი: სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიის ცვლილება და სამედიცინო სფეროს დატოვება აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ასევე საქართველოშიც. სამედიცინო სფეროში გაზრდილი კადრების დენადობა პირდაპირ აისახება ეროვნული ჯანდაცვის სისტემის ხარისხზე. კვლევის მიზანია სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიის ცვლილების გამომწვევი მიზეზების შესწავლა.

მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა რესპოდენტთა გამოკითხვა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით.

შედეგები: ექიმების უმეტესობა, რომელთაც პროფესია შეიცვალა ვერ ახერხებდა სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის დაცვას. სტუდენტთა დიდი ოდენობა ბაკალავრის დასრულების შემდეგ უარს ამბობს სწავლის გაგრძელებაზე რეზიდენტურაში და შესაბამისად, პროფესიაზე. რეზიდენტურაში სწავლის მაღალი გადასახდის გამო უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომის შემდგომი საფეხური ნაკლებად ხელმისაწვდომია საქართველოში მცხოვრები სტუდენტებისათვის. სტუდენტების გარკვეული რაოდენობა ვერაბარებენ რეზიდენტურაში, რადგან სარეზიდენტო პროგრამებზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ბევრად მცირეა რეზიდენტურაში სწავლის მსურველთა რაოდენობაზე. შესაბამისად, იზრდება იმ სტუდენტების რიცხვი, რომლებიც რეზიდენტურის გარეთ დარჩნენ და იძულებულნი გახდნენ საკუთარ პროფესიაზე ეთქვათ უარი. გადაწყვეტილების მიღებაზე ასევე ზემოქმედებს გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, არასახარბიელო ანაზღაურება, სამუშაო - პირადი ცხოვრების დისბალანსი.

რეკომენდაციები: საჭიროა ცვლილების განხორციელება პერსონალის მიღება/შენარჩუნებაში, მათი მოტივაციის ამაღლება, ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება, მოქნილი გრაფიკის შეთავაზება პირად ცხოვრებასა და სამსახურს შორის ბალანსის შესანარჩუნებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რეზიდენტურა, ჯანდაცვა, მედიცინა, ექიმი, ექთანი.

Abstract

Introduction: Master's thesis concerns the reasons for the change in the profession by medical personnel. Changing the profession by medical personnel and leaving the medical field is a topical problem both in the world and in Georgia. Increased capacity of medical personnel is directly reflected on the quality of national health care system.

Methodology: In the framework of quantitative survey of respondents were conducted in semi-structured questionnaire.

Results: Most of the doctors who have changed their profession were not able to maintain balance between job and personal life. A large number of students refuse to pursue studies in the residency and according to the profession after completing the bachelor's degree. Due to high fees in residency, the subsequent step of higher medical education is less accessible to students living in Georgia. A certain number of students cannot reside in the residency because the number of places announced for residency programs is much smaller than the number of applicants in the residency. Consequently, the number of students who have stayed out of residence and have been forced to renounce their profession is increasing. The decision-making process is also affected by the overloaded schedule, inadequate payment and imbalance between job and personal life.

Recommendations: It is necessary to make changes in the receiving / retention of personnel, increase their motivation, pay overtime hours, offer flexible timetable for maintaining balance between personal life and work.

Key words: Residency, health-care, medicine, doctor, nurse.